ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 180

ხელვაჩაური

„22“ აგვისტო 2013 წელი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მალხაზ ფარტენაძის სახით, და მეორეს მხრივ შპს „მარიამ ო.ბ. 2006" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ოთარ ბერიძის სახით, მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე შემდეგზე: ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით ფერიაში (წითელი მიწების დასახლება) წყალსადენის მოწყობა და ბათუმის მაგისტრალურ მილსადენზე მიერთების სამუშაოების შესყიდვაზე (სატენდერო განცხადება **SPA130015457**).(CPV) კოდი - 45200000

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ფერიაში (წითელი მიწების დასახლება) წყალსადენის მოწყობა და ბათუმის მაგისტრალურ მილსადენზე მიერთების სამუშაოები თანახმად ხარჯთაღრიცხვისა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **12959,99** (თორმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3 დაფინანსების წყარო – 2013 წლის სახსრები.

4. ანგარიშსწორების ფორმა

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.2 ანგარიშსწორება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად რომელიც უნდა შეადგენდეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 30%-ს.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარმოადგინოს:

ა) ეტაპობრივი ან გარიშსწორებისას ფაქტიურად შესრულებელი სამუშაოს ფორმა №2 და №3

ბ) საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

გ) წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის (სამუშაოები) ჩაბარების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე.

5.2 შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ადგილი: სოფ. ფერია

5.3 სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ (შესრულებული სამუშაოს აქტი, ფორმა #2).
5.4 სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი
5.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესრულებული სამუშაოს წუნდების მიზეზების მითითებით.

6. სამუშაოთა ხარისხი და საგარანტიო პირობები

6.1 გაწეული სამუშაოები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, კერძოდ საპროექტო დოკუმენტაციასა და ხარჯთაღრიცხვას.
6.2 მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა - საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) წელი.

7. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები მითითებულ ვადაში. სამუშაოს პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა მოთხოვნები და შენიშვნები, გაუწიოს სამშენებლო სამუშაოები სრული მოცულობით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.
7.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შესასრულებელი სამუშაოს შესრულება საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
7.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ნაკლოვანებები;
7.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე საჭირო სამშენებლო მასალების ხარისხი გამოყენებამდე შეათანხმოს ,,შემსყიდველს".
7.5 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.2 ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და/ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო და სხვა სანქციები.
8.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში და ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით. სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.25 პროცენტის ოდენობით. - იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხაგადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ სარემონტო სამუშაოები. კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური, შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ხარისხი, შესრულების ვადა.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.4 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, და ასევე შესასრულებელი სამუშაოების ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური.

9.5 წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 9.4 პუნქტში მითითებული სამსახური.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდერული დღისა

აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის ის მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულების თანავე.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
12.2 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
12.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე.

13. დამატებითი პირობები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერანაირი შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
13.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.
13.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

14. დავები სგადაწყვეტის წესი

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილ წესისდა მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.3 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ან ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლამდე.

„შემსყიდველი“

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
ტელ: (0422)25-91-00, 25-93-27
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ.#23
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“
ს.კ. 248428385
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა№GE45LB0120166231817000

თავმჯდომარე ძალხაზ ფარტენაძე

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს „მარიამ ო.ბ. 2006”
მის: ბათუმი ლეონიძის №4
ტელ: 599 39 26 20.
საბანკორეკვიზიტები
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“,
ს. კ. 245560085
ბ/კ:LBRTGE22
ანგ. №GE54LB0113118115219000

დირექტორი ოთარ ბერიძე

(ხელმოწერა)